“ბენდუიზმის” იდეოლოგია

და

“ბენდუკები” ქართულ ეკონომიკაში

გაზეთი “ახალი ალიანსი” – 28 აგვისტო – 4 სექტემბერი, № 30, 2009

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მალე ახალი მინისტრი ეყოლება. მინისტრის პოსტიდან ლაშა ჟვანიას გათავისუფლების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გილაურმა ვაკანტურ ადგილზე ესპანეთში საქართველოს ელჩი, ზურაბ პოლოლიკაშვილი წარადგინა. პრემიერმინისტრი და მისი გუნდი პოლოლიკაშვილსგან ქართული ეკონომიკის აყვავებას ელოდებიან, ეკონომიკის ექსპერტები კი – ბენდუქიძის იდეოლოგიის ერთგულებას.

გილაურის მიერ გახმოვანებული საკადრო ცვლილების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებზე **„ახალი ალიანსი“** ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, ეკონომიკის ექსპერტს, ბატონ **ლადო პაპავას** ესაუბრა.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულად შეირჩა ეკონომიკის უწყების პირველ პირად ესპანეთში საქართველოს ელჩის, ზურაბ პოლოლიკაშვილის, კანდიდატურა?

– ბატონ ზურაბ პოლოლიკაშვილს ახლოს ნამდვილად არ ვიცნობ. ცხოვრებაში სულ ორჯერ ვარ შეხვედრილი. შევხვდი იმ დროს, როდესაც ის მუშაობდა თიბისი ბანკის მთაწმინდის ფილიალში, სადაც მე ერთი პერიოდი ხელფასს ვიღებდი. ჩვენი ურთიერთობა სულ ამით შემოიფარგლა, ეს კი მის პროფესიონალიზმზე სასაუბროდ, პრაქტიკულად, არაფრის მთქმელი არ არის. რაც შეეხება იმას, თუ რა ტიპის საკადრო ცვლილებასთან გვაქვს საქმე, დღევანდელ საქართველოში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება რაიმეს მინისტრი, მთავარი არის ის, რომ უკვე წლების განმავლობაში საქართველოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი პრემიერ-მინისტრი, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ზურაბ ჟვანია ცოცხალი იყო, ბატონი კახა

ბენდუქიძე მაშინაც პრემიერ-მინისტრობდა. ასეთ ვითარებაში აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ფორმალურად პრემიერ-მინისტრის სავარძელში. იყო ზურაბ ნოღაიდელი, ლადო გურგენიძე, გეგა მგალობლიშვილი, ამჟამად არის გილაური, მაგრამ, რეალურად არცერთი მათგანი არ ყოფილა პრემიერ-მინისტრი. შესაბამის ფუნქციებს ეკონომიკის სფეროში ახორციელებდა და ახორციელებს კახა ბენდუქიძე. ლაშა ჟვანიას გათავისუფლება, სწორედ, ბენდუქიძესთან დაპირისპირების თვალსაჩინო მაგალითია. დაპირისპირებაში ბენდუქიძემ და მისმა გუნდმა გაიმარჯვა. აქედან გამომდინარე, თუ ზურაბ პოლოლიკაშვილი შეასრულებს იმ ამოცანებს, რომელიც მთავრობის წინაშე ბენდუქიძის იდეოლოგიიდან გამომდინარე დგას, მაშინ პოლოლიკაშვილს მათი გუნდის წევრად მიიჩნევენ და მის მიმართ არანაირი პრობლემები არ ექნებათ. თუ ის შეეცდება ლავირებას, თუნდაც პოლიტიკური ჯამბაზობის დონეზე, რასაც ლაშა ჟვანია აკეთებდა, მაშინ, უბრალოდ, მოიშორებენ თავიდან.

– ანუ ახალი მინისტრის წარმატებულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გაითვალისწინებს ის ბენდუქიძის პოლიტიკის პრინციპებს და აწარმოებს მის პოლიტიკას ე.წ. ბენდუნომიკას?

– „ბენდუნომიკა“ არის ბენდუიზმის იდეოლოგიის პროდუქტი. რაც შეეხება მინისტრის წარმატებულობას, მნიშვნელოვანია, თუ რას ვგულისხმობთ „წარმატებულობაში“. თუ კრიტერიუმად ქვეყნის ინტერესებს ვგულისხმობთ, მაშინ, დღევანდელი მთავრობა, ისევე, როგორც ყველა წინა მთავრობა, მთლიანობაში წარუმატებელია, იქიდან გამომდინარე, რომ ბენდუიზმი ქმნის არა საქართველოს ეკონომიკას, არამედ „ბენდუნომიკას“, ხოლო „ბენდუნომიკა“ ქვეყნის ინტერესებში ნამდვილად არ არის. თუკი კრიტერიუმად საქართველოს ინტერესებს ავიღებთ, მაშინ პოლოლიკაშვილი, როგორც ამ მთავრობის მომავალი წევრი, ვერ იქნება საქართველოს ინტერესებში თუ, რა თქმა უნდა, ბენდუიზმის იდეოლოგიაში ჩაეწერება.

მთავრობა თავის თავს წარმატებულად ჩათვლის, თუ განახორციელებს ბენდუიზმის იდეოლოგიას და შექმნის ქვეყანაში ბენდუნომიკას. პოლოლიკაშვილი კი წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას არ ექნება საკუთარი იდეები და რასაც ჩასძახებენ ქვევრივით უკან ამოსძახებს.

პრემიერ-მინისტრობის სამთვიან პერიოდში გეგა მგალობლიშვილს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, სად იყო და რას აკეთებდა. მუშაობდა ქვევრის პრინციპით. ამ ქვევრმა კი 3 თვეზე მეტი ვერ იმუშავა.

– როგორ დაახასიათებდით ლაშა ჟვანიას მინისტრობის პერიოდს, რა დადებით და უარყოფით ასპექტებს გამოყოფდით?

– ლაშა ჟვანია გახლდათ პოლიტიკური ჯამბაზი, რომელიც ცდილობდა, ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ ის არის ხალხისა და საქართველოს ინტერესების მხარეზე, ხოლო, მეორე მხრივ, ახორციელებდა იმ იდეოლოგიას, რა იდეოლოგიასაც ეფუძნება საქართველოს მთავრობა. თუმცა, ლაშა ჟვანიას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ერთ საკითხში ის სერიოზულად დაუპირისპირდა ხელისუფლებას – სამინისტროდან მოიცილა ბენდუქიძის იდეურად "გაზულუქებული" კადრები, რომლებიც მოადგილეების სახით არსებობდნენ უწყებაში. მაგრამ, როდესაც ქვეყანაში ბენდუიზმის იდეოლოგიაა, ბენდუკებს ბოლომდე ვერ მოიცილებ. ისინი ეკონომიკის სამინისტროდან პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში გადაბარგდნენ და, პრაქტიკულად, ბენდუქიძის აპარატიდან ახორციელებდნენ ვიცე-პრემიერის ფუნქციას. ბენდუქიძის კადრების მინისტრის მოადგილეობიდან მოხსნით ლაშა ჟვანიამ შექმნა ილუზია, რომ ბენდუკებს თავიდან იცილებს, მაგრამ რეალურად სამინისტრო სავსე დარჩა ჯერ კიდევ დასაფრთიანებელი ბენდუკებით.

რაც შეეხება მეორე ასპექტს, რომელშიც ჟვანია მართლაც წარმატებული აღმოჩნდა, ეს არის ის, რომ მან აირჩია პოლიტიკურად სწორი – ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის კურსი. ამით სერიოზულად დაუპირისპირდა მთავრობას. ევროკავშირმა საქართველოს შესთავაზა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, ეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რაც ნამდვილად არ არის ბენდუიზმის იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. ლაშა ჟვანია ამ საკითხსაც შეეწირა. ჟვანიას არ ჰქონდა გცნობიერებული საკითხის ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ პოლიტიკურად მან აბსოლუტურად მართებული პოზიცია დაიკავა და დიდი ქულები ჩაიწერა კიდეც ბრიუსელის თვალში.

ჟვანიას პოლიტიკური ჯამბაზობა კი მის პრესკონფერენციაზე გამოჩნდა. შეგახსენებთ: ერთი მხრივ, თქვა, რომ რჩება სააკაშვილის პოლიტიკის

ერთგული და მხარდამჭერი, თუმცა, იმავე დროს აღნიშნა, რომ ქვეყანას ჰყავს არაპროფესიონალი პრემიერ-მინისტრიო. მაგრამ, სააკაშვილი ხომ არაპროფესიონალ პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ტოვებს? ანუ რა გამოვიდა – ჟვანია ეთანხმება სააკაშვილს, მის პოლიტიკას, რომ ქვეყანას ჰყავდეს არაპროფესიონალი პრემიერ-მინისტრი? სწორედ, აქ გამოჩნდა კიდევ ერთხელ ჟვანიას პოლიტიკური ჯამბაზობა.

– რამდენად მყარია დღეს პრეიერმინისტრის პოსტზე ნიკა გილაურის პოზიციები?

– ქვეყანაში ძალიან მყარია ბენდუქიძის იდეოლოგია. ბენდუიზმის იდეოლოგიაში, თუ საჭირო იქნება ახალი სახეების გამოჩენა, შეიძლება ვინმე სხვაც დანიშნონ. ეს, ჩვენი ქართული ნეორეალობისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ისე კი, გილაური ხუთიანზე ასრულებს ბენდუიზმის იდეოლოგიას და საკმაოდ კომფორტული პრემიერ-მინისტრია ამ თვალსაზრისით.

პრემიერ-მინისტრი კიდეც რომ შეიცვალოს, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება – ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილება მაინც არ არის მოსალოდნელი.

– ბოლო დროს აქტუალური გახდა საუბრები პრემიერ-მინისტრობის ახალ კანდიდატურებზეც – ასეთებად გიგი უგულავა და ზურაბ ადეიშვილი სახელდებიან, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ თქვენ ახლო მომავალში ერთის ან მეორის გაპრემიერ-მინისტრება?

– მე პრემიერ-მინისტრად არცერთი მათგანის კანდიდატურას არ განვიხილავ სერიოზულად, იმიტომ რომ ერთიც და მეორეც საკმაოდ ძლიერი პიროვნებები არიან. მათი გაპრემიერების შემთხვევასში კი არ არის გამორიცხული, გარკვეული პრობლემები შეექმნას ბენდუიზმის იდეოლოგიას. პრემიერ-მინისტრი ამ ხელისუფლების პირობებში არ შეიძლება იყოს პოლიტიკურად ძლიერი ფიგურა. შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, პრემიერ-მინისტრებად ერთმანეთზე სუსტი ფიგურები დაინიშნენ. მათ შორის, ყველაზე წარმატებული, ანუ ცუდებში ნაკლებად ცუდი, იყო ზურაბ ნოღაიდელი, მაგრამ საერთო ჯამში ყველანი იყვნენ ძალიან სუსტები. პრაქტიკულად, ვერცერთი ასრულებდა პრემიერ-მინისტრის ფუნქციას. ყველაზე დიდი ზიანი ქვეყნის ეკონომიკას კი ლადო გურგენიძის

პრემიერ-მინისტრობის დროს მიადგა – მან დაანგრია ეროვნული ბანკი და ქვეყანას დამატებით აჰკიდა ნახევარმილიარდიანი საგარეო ვალი.

მადლენა მაჭარაშვილი